

ელიტურული
U.S.

საოცუნჯო აღმანახი

კავთიას




მიმიარა, გაიძიესა—
ვინ დაგვივისლია ვინა,
შენია.

საღამ გასართ დალიგან პ. წერილი
შემიარა და მის ჭანი.
შემია.



11 569



წინ მიდის ჩვენი შეგნება,—ქალაქში; სოფელ-დაბაში;
დღისით და ღამით, მუდამ-ეაშს—არის კარტ-ნარდის თამაში.

ჩვენს მკითხველებს

ქვემოთ ხელის მომწერი ვაცხადებოთ პატივ-ცემულ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ სხვა და სხვა მოსაზრებით ვერ მივიღებოთ მონაწილეობას იმ ურნალ „სუსტში“, რომელიც გამოდის ქინქრის მაგივრად პირველი დეკემბრიდან იმავე რედაქტორის ნება როვთ.

ჩვენ ჩვენის ძალით გამოსცემით ღრმა-გამოშვებით ალმაზახებს და ჩვენს თანამგრძნობ კორესპონდენტებსაც ჩვენსკენ მოუწოდებოთ დაბა სოფ-ლებიდან.

„ქინქრის“ თანამშრომლები: ბეჭტია, კვირ-ხილა, იადონი, ტონი და ბეჭტიას მეგობარი.

ორი სურათი

საომი იყო, მზე ჩადიოდა
დაამთქნარა და დახუჭა თვალი...
ქუჩაში ხალხი მიმოდიოდა
ზოგი ფხიზელი და ზოგი მთვრალი.
გამოვიარე—ერთ დუქნის წინა
იდგა მუშაკი: პურის ფულიო,
ცოლ-შვილიანათ შიძმილით ვკედები,
ვის სიბრალულით გიცემთ გულიო,
ნუ დაიშურებთ თითო-ოროლ გროშს,
მომეციო, ვისაც გაქვთ საშვალება;
მას ესთხოვ, რომელსაც გამოუცდია
მწუხარება და ტანჯვა—წვალება.
ის ხალხს არჩევდა, მსუქან მაღალ კლასს
თვალს არიდებდა, როს ედგა წინა
რაღან იკოდა არას მიცემდა,
რომ ზიზლით მაინც არ დაეცინა.
მთ არას თხოვდა..

დაბლა დავყევა
ლამაზ ქალს ვაჟი თავს ევლებოდა,
და მოსახიმლავ თვალთმაქცობითა
ასეთ სიტყვებსა ეუბნებოდა:
„ჩემ სიცოცხლევ, ხელი მომეცი
მომიახლოვდი და გამახარე,
შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო,
მზე ინხარუების კაშაშა მთვარე.
ნულარ მაშვალებ, ტანჯვა მაგმარე,
გულსა მწვევს ტრფობის ილი, გენია,
მას ვინა არწყევს, რამდენი ჩუმათ
ცხარე ცრემლები დამიდენია!“
რა მოვისმინე ვაჟის სიტყვები
ვსოვთ: ვაიძევრა და დაქნიოდა;

უნდა მოსტაცოს ქალსა საუნჯე—
გშობელს მაჯგლოს შერცხევილია.

შესაძლო არის ასეთ შემთხვევით,
არ ერთხელ არის გახარებული,
ვინ უწყის ეგებ დღესაც სტირიან
ბევრა არსება, მისან ვნებული.

შემზიშილა და განუშორდი შალე
ორი ასეთი სურათი ვნახე,
დღესაც წინ მიღებას მშიერი მუშის
ურ-მიხდილი და მწუხარე სახე!

გ აბრამიძე.

კორესპონდენცის მოსსენება

მოწყალეო ხელმწიფეო, ძამია რედაქტორო!
ჩემი გატივრება რომ იცოდე, ვაი შაო ერთს კი მეი-ტალაურებ შებლზე ხელს, სა წავალ რომ ავი და-კინქრულ დაშტუნულები ძალლებივით არ მიგნებულებდენ, შინ დავჯდები და ვინ გინდა რომ არ მოდის: არიქა მოვეველელ გაგვამწარეს და ქინქა-რი და მისი ჯანიო, კატამ რომ კუდი გააქნინს ყოლიფერი საგაზეოთ გონიან. აბა რა საგაზეოთა ერთი მითხარი ორავის მთაში (გურიაში) გუ-რიელს თავისი ნასახლევი ჯერ საზოგადოებისთვის მიუყიდნია. ჟყოლის ერთო მაგრამ ფულის მიღება რა დაგვიანებია სამი სასათოთ სამი მინუთით და სა-მი წამით ზე მიუნაღდებია ქინა ხუცებიზა და მისი სახლის კაცებები! ან კი რა მტყუანია კნიზი, მისი სიტყვა ხომ ბეჭედი არ ყოფილა, და თუნდაც ბე-ჭელიც ყაფილიყო ცუნუს შეხვეწას მაინც ვერ და-უმაგრძებოდა. გაძრეს რეინასა მაგარსა ენა ქა-ლისა რბილისა. იმის იმაში ცუნუმ ქანქარი აგი იგიო, მარა ეს კი ჭორი უნდა იყოს.

ან კი შემდეგიც არა მგონია საგაზეოთ:

ეს შეშეიდე ჯერა ზომავს

ნებტორაი ლესის გზასო,

წრეულს სიგრძე მოუკლია

მას ლადიკო ულოცვეს;

ლესელები იბლივიება—

ა აღოღებს ამ წუნკალსო,

მოვარით მაშეინ, რომ დახურავს

მაგი ლესის აფთიაქსო

ხოლა აფთიაქს დახურავს თუ არა ეს კი რა ვიცი მხალოდ ამაში მეც ვეთანხმები ზემლებერ ურდანის, რომ რაღაც რაოდენიმდე საეგნს სიგრძეს მოიკლებდა გზა წრეულდელი გოლეგბის გამო.

კიდევ მეუბნებიან; რატომ ლონჩეულოებს არ ჯლოლავ რომ გამეილვიძენ და იმისთანა სხლს აკე-თებენ — პრისუსტებია, ბანკი, ტრიატი, სადალაქო,

კანდიტერი, სამიკიტნო, სამკითხველო, ყველანა, დიდი პატარა, ქალი და კაცი, ერი და ბერი, სტუ-
მარი და მასინძელი, შით ქარაფათ დაწერიოს. რა
მიულოც აბა, ჯერ შხოლოდ კომისიებია აჩჩეუ-
ლი და მაშასადმე დახურებას ბევრი აკლია. მხო-
ლოდ შეგვიძლია უსურეოთ ბ. ექის გრიგოლაშ-
ვილ ინსკეტორ შებუქეს სხატრიტელს და სხვა კე-
თოლი განძრახვა კეთილათ დაგვირგვინებით და
მათ წინა კომისიებს არ მისწოდებ ჭრულში და არ
ეყლინწონ სხევბასეთ ჩილურის წევთბი.

მეოთხეც მამიავ ჩედაქტორო მწერს იგი კაცი
აგიც დააბეჭდიერ ვითამ ლექსია.

ჩენი ორი ხუმარაო,
ნაგავ ნეხეის ტუმარაო,
მათი თანამშრომლებიო
ყვავები და ყორნებიო,
მესტრიო ჰყავთ ხოზიაო,
დაჭკარგია ლოდიკაო,
კირილს ნამეს უნახასო
და მეგლაძეს უძრახასო.

ჰოდა ან ეს რა საგაზეთოა ვიღაცებმა რაღაც
აღმანახი შეითხნეს ვიღაც ხოზიამ გაიძერა გა-
მოგდებული მასწავლებელი კირილ წილოსანის
ნამუსი შეინახა. აბა რაში მეპრინანება ხოზიამ და
მანენ ბალახმა კი არა, უცნობს კაცს უძახოდნ მა-
რა ეს იმანაც კი იყალრა, მარა კირილ მეგლაძე
რომ სამედიატორო სამართალში გამოიწვია, აუდ
მომწვრი შექრა გამონაძრომ სოროში. დია, ასე
რედაქტორო და გოხოვ ეგება შენ დაჯერო ი კა-
ცები და გამოატაღო რომ ამისანა ლექსები და ამ-
ბავები ჭინჭარში არ დაიბეჭდებათქვა მარა ალრე
რაცხაურია ადრე, მაგირები ლძერთი და ბუნება
შენს დედ მამას შენ გვირგვინზე კოცნიებს. ნახ-
ვამდის იცოცხლეთ თქვენი—კეთილის მსურველი—

უხათრება.

ზაფუსოვსკის გაზრა
დ. ნესტორეთი.

მართალია, ამისთანა აბდლური უჭინშეარში“
დასაბეჭდი არ არის და ვერც დაბეჭდავთ, მარა, იმ
უურნალ, სუსსში “რომ გაგზავნიდეს ვინზე რომელიც
უჭინჭის“ სამაგიეროდ გამოდის, ამაზე ვარესსაც
დაბეჭდავნ, ისე მონატრებულზი არიან პროცენცი-
ოდან მასალებს.

ბეჭტია.

კინ როგორ შესჭდა

ტერ-გასპარიანცის გადაუენებას.

მაისის მზის შეუკით მოეფინა მთელ გურიის
არე-მარეს ტერ გასპარიანცის გადაუენება..

პირველი ვიღაც მეზაურმა ახარ ლამჩხუთის
სადგურზე მოსეირნე სახოგაღოებას. ხალხს ტუქ-
ში აუთამაშდა, თვალები გაუბრწყინდა—სიხარულით
ბლიქვინი სასქდა...

პოპიჩიტელს —სვლის პეტრამ აცნობა. ვა-
კარი ენას იარშინგბდა—ვერ გაიგო და იყოთხა:
რაო? — გასპარიანცი გადაშავდათ... ხელები აუკან-
კალდა, ფეხებში მოუსავდა, „ტარაბუა დაესხა“,
ებილების ტახა-ტუქში „ლიშნი“ ენა წაიტკვირა და
მოჭრილ მუხასავით ძირს დიეცა.—საზარელათ იხე-
დება, თითქოს საუკეთესო განძი სიცოცხლისა და-
კარგოდეს და აგრე ბურღლულობს: ვაი, რომ გა-
დაშავდათ—მის ხელში აბა რა მიშავდათ!..

კირილე წ-ჩა — სამკითხველოში გაიგო; გა-
ხარებულმა გადიბარხარა, ცერტბზე შედგა, ხელით
ცაში სტეა, ოცი წლით უფრო გაახალგაზდავდა...
ექვსი თვის ჯამაგირის მიულებლობას და მასწავლე-
ბლობიდნ დათხოვნას არ ჩივა — დავკაშედა... ეკლავ
შეუკავებლათ ხარხარებს... შერვალი ძირს უჩინჩავს
— ხელით იქრის... აღბათ ლარი გასწყდეტია. თავ-
შეუკავებელია, მოთმინების ფიალი დაკარგვია... სა-
მაგიეროს უხდის დევეშა გაუშანშალებია: „პოზ-
დრავლიაიუ სპოვიშენიერ—მნე ნო ი თებეო!“

საზოგადო პატარძალის, ანუ ა — ტას სკოლა-
ში — ბაგშევები დეღოფალა-კენჭობიას თამაშობდენ;
თვთონ მისი „სტეი კავალრებით“ თათაში გიტა-
რაზე აქლერებუა: ლამაზონ ბიჭი ჭირიმე შენი, უნდა
ჩიგპროშტო ჯინი მაქ შენი!.. ვიღაცამ შარიდან
დაუკიუნა ინსტეტური გააგდესო. — „ბოჟე მოი,
ნეტ კაქ მოუნა, ნიკოგდა ნე პოვერიუ“. — რის
ნიკოლოზა პოვერი ბატონ, გასპარიანცი დეითხუე-
სო. გახელდა... — კაცოფთა... კრიკა შეეკრა... თავ-
პირში იცემს, ლოუებს იფხოქავს, თმა მუჭით ჩი-
მოაქეს, თვალებს ითხრის, სარზე ეცემა — შესაბრა-
ლიისა — ვაიმე! ვაი, ვაია! რა შემწე თავმჯდომა-
რე მასპინძელი დამეარგვიაო...“

თავაღაზნაურობები — ნასაღილებს შეიტყო...
გული ლათენთილი აქვთ ქაქიეს ნაკამისავთ. რა
ქნან — არ იცან, დებუტაცია სად გაგზავნონ, თბი-
ლისში თუ პეტრებურგში, რომ დაბრუნებული
იქმნას.

გლეხები — გასპარიანც კისერი უტეხია და
მის მომყვანელისაც კინჩიორ...

მასწავლებლები—ზოგნი ვაიმე და ზოგნი ვუი
ჰასო...

მოწაფენი — მღერიან: გვნახულობდა სომეხიო,
თან მოქონდა სხვა მეხიო.

ხუცები — მამაო ჩვენო! გასპარიანცი გთხოვთ
შეაჩვენო, ამიერილან ბლარ გვაჩვენო.

თემუყალი.



ბენია და ბეჭია

სადღეისო კუპლეტები.

ბენია. რედაქტორი გაგვექცა
და დაგვყარა ობლები,
მაგრამ თუ რომ კარგათ გვყავს
ჩვენი თანამშრომლები.
არ მოვიწყენთ ვიცელებთ,
სუსიანი კონებით,
თუ ზოგ-ზოგი გვემდურის
სხვებს ხომ მოვეწონებით?

ბეჭია. მათ ჩვენსა რწმენასა
ვერ შეგვიცვლის ქანქარი,
განა გომართელი გართ
ხან იქა, ხან აქ არი?!.
იქ შიმშილისაც მოვითმენთ
სადაც გვყავს ამქარი,
და მტრებთან კი არ წავალთ
თუნდ ვვაქამონ შაქარი.

ბენია. წერა-კითხვისა წევრად
ეწერები ბეჭია?

ბეჭია. მსურდა მაგრამ, მმობილო
ქე მომაბეს ქესტია!

სამი განათი მთხოვეს —

წინ-წინ მისალოცავი

და სად მქონდა, გაუწყეს

მათ ჩემი სალოცავი.

ბენია. მისალოცი რათ უნდათ,
ქორწილია თუ რაი?!

ბეჭია. ეჭ, ჩემო ძმავ, რა ვიცი
იქ იმდენი ტურაა,

ფულს კი არა, — წინგძსაც

გაუკეთეს ხერალები

და ჩენ ქე ვართ, მუდამ-ჟამს

აგრე უსწავლელები.

მღვდელი და დიაკვანი

იგავ-არაკი.

დიაკვანმა უთხრა ერთხელ თავის მღვდელს:

— ცუდი დროება დაგვიდგა მამაო! ჩვენი¹
მრევლი არაურათ გვაგდებს, წირვა-ლოცაზედ არ
დაის, ძველი ჩვეულებები დაივიწყეს და ჩვენს ქა-
დაგძის უყრალებას არავინ აქცევს. რამე ლონე
უნდა ვიღონოთ, თორებმ შიმშილით დავიხიცებით”.

— რა უნდა ვქნათ, რა საშვალებას მივმარ-
თოთ? — შეეკითხა მღვდელი.

— რამე სასწაული უნდა მოვაძლინოთ, რომ
ხალხმა გვიწამოს და შემოსავალმა იმატოს, — მიუ-
გო დიაკვანმა, — მოდი ერთ რამეს გიჩევე მამაო,
თუ შენც დამეთანხმები. მე მოვპარავ სოფლელებს
რასაც კი წავახელებ და გადავმალავ ისეთ ადგი-
ლას, რომ ვერავინ მიაკლიოს. მე შენ გეტყვი სად
მექნება დამალული და ამით ისარგებლე. შენ ხომ
კარაბანი გაქეს და ვითომც იქიდან გაგიგია იგრე
აუხსენი დამეარგველს.

მღვდელს მოწონა ეს რჩევა და თანხმა გახდა.

დიაკვანი მეტად დახელოვნებული გამოდგა ამ
ხელობაში: ზოგს საქონელი მოპარა და ზოგს ძირ-
ფასი ნივთები და ისეთ ადგილას გადამალავდა ხოლ-
მე, რომ ეშმაკიც ვერ მიაკლივდა. პატრონი რომ
დაუწყებდ ძებნას, დიაკვანი პატრონს ისე აჩვენებ-
და თავს თითქო სწუხდა კიდეც ამ ბოროტ-მოქმე-
დებით და თან ეტყოდა: წადი ჩვენს მფლეოლს
აკითხვით, კარაბალინში ჩახდავს და უსათუოდ გა-
იგებსო.

ასეთი საშვალებით მღვდელმა დიდი სახელი

გაითქვა მოელ კუთხეში და ბევრი ქონებაც შეიძინა, რაღაც უფასოდ აღარავის ჩაუხედავდა „კარაბალიშ“ და ძალიანაც აუწია ფასები. დიაკვინი კი ყოჩალათ იყო და არა თუ თავის სოფელში, სხვა გარეშე სოფლებსაც ეწვეოდა ხოლმე ძალიან ხშირადაც.

გავიდა რამოდენიმე ხანი და ამ მღვდელს სხვა სახელმწიფოშიაც გაუვარდა სახელი.

ერთხელ ერთ ხელმწიფეს ძლიერ ძვირფასი ოფალი დაეყრაგა და ვერას გზით ვერ იპირენს მისი გზა-კვალი. უჩჩიეს მეფეფეს: ამა და ამ ქვეყანაში ერთი მღვდელი ყოფილა, რომელიც ყველაფერს გებულობს თურმე თავის კარაბალინითა და ის უეჭველად გააგებსო.

გასცა მეფემ ბრძანება, რომ ის მღვდელი მიეყვანათ მასთან თავის „კარაბალინით“ და თუ არ წამოჰყებოდათ—თავი მოყვეთათ უჩჩი მღვდლი სათვის.

ანდუშაფარ.

(დასასრული იქნება)

გამოცანა

ფოთისათვის.

სანამ უსაქმი ყილით,
კუპი ეწოდ მწარეთო;
მარქსს ფიცულობდა ჩარულთა
ბედით ვარ მგლოვიარეთო,



დოლით მოგზაურობა განაპირა უბნებში

ძმობა-ერთობის ქომაგი
სიტყვით იბრძოდა ცხარეთო,
მგოსანიც იყო, მწერალიც
აღთქმული ქვეყნის მხარეთო!..
მოციქულობდა განთიადს:
ჩარულნო გაიხარეთო,
მუქათხორებო ჩადექით
წარსულზე ცრემლი ლარეთო.

მარა კაცი სდევს დროებას,
დროებაც ცვალებადია,
ჩვენი მგოსანიც ამ კანონს
ველარ არცილდა ცხალია;
ხელი მოჰკიდა ვაჭრობას,
იმისთვის დანაბადია,
სატყვით მაშვრალთა ქომაგი,
საქმით ქანქართა გადია!
ჩარული თვალთმაქცობითა,
მუშტრის მიწვევა სწადია!
მუშის „ქომაგსა“ ნოქრების
„მასაუი“ დაუქადია.

ფორმა და შინარსი ვინც
სხვა და სხვა შეითვისაო,
„სოციალისტი პოეტი“
ჩარჩია წმინდა წყლისაო,
ვინაც ორმაგი ტაქტიკით
ძალზე გასტენა ქისაო,
პროლეტარ ამხანაგებსა
ნისით აღარ მისკაო.
„ძველ იარლიკის“ ტარებით
ტყავის გამძრობი ძმისაო,
მოგების ჯინით დამთვრალი
ყოველგან, ყოველთვისაო.

ვისაც ქანქართა სიუხვით
ძალზე გაეხსნა მაღაო
და უფრო უხევ მოგების
სხვა აზრი დაებადაო;
გახსნა სადგური ყომარბაზთ
კრება იმართვის სადავო,
წესი ჩლენებთა მიღების
შუდამ დროა და ვადაო,
კარი ლია ყელოსათვის
თუ ვინმექ განაცხადაო,
დუპლეტ-შარ-უგოლ-კრასნითა“
ვარჯიში მომეწადაო.

„ტყდება კექ-ქუხილი,
გარბი გამორბის შარები;
ზედ უმიზნებენ ხელ-ტუკაბს,
„მოხალისეთა“ ჯარები!

ქაში გაივლის ნიხრისა
 უნდა დათვალონ ფარები
 „მაიმუნს“ ოვალი უბრწყინავს;
 „სტუმარს“ ცრემლისა ცვარები;
 დროში ფულს იხდის „ქანს“ აგებს,
 თან უცდის ღია კარები,
 როცა სტუმარი „კოტრაწეს“
 მაინძელს არ ეყვარები.
 იქნებ ვერ მიხვდით მკითხველო
 და მითხრათ ეს არ კმარაო,
 ჰოტენტოტების კანონი
 ვინც სრულად მოიხმარაო.
 ქმარი სახლიდან გააგდო
 ცოლი თვით შეიყვარაო,
 და საქმე ესე აქამლე
 ნათლი მიჩონით ფარაო
 დაი და დედა სახლიდან
 კინწის კერით გამოყარაო,
 სატრფო და თქვენც რომ გარჩინოთ
 სად ზაქვს ამდგნი ფარაო.
 ქვას დალბობდა, ჰილანგარს
 რაც იმათ ცრემლი ღვარესო,
 მშობლის ცრემლები შობილმა
 ველარც კი შეიბრალესო.
 „მგოსანის“ გულმა ჭათუთმა“,
 ახლოს არ მიიკარესო,
 კრულ იყოს წესი, რომელმაც
 ჩარჩობა დაამყარესო.
 საქმით სულს ყიდის ფარაზე,
 სიტყვით ხელს არებს მთვარესო,
 მუშტრის მიხედვით ასალებს
 თვის „იდეურ“ მხარესო.

ფოთისთვის გამოცანები,
 კიდევ დღეისწორ კვირესო,
 უნდა გაახლოთ მყითხველო
 ძებნა თვარ დამიპირესო.
 „თუ რასტომიანთ“ პრაქტიკით,
 მუშტრები მომილირესო,
 ანუ რაიმე ხათაში
 „ზაკონით“ გამაჩირესო.
 უნდა ვაცნობო ბეშტრიას,
 გათხოვოს ჭინჭრის კონები,
 ცხვირზე წიაუსვა მართებულს
 გულისა დამალონები.
 კანზე გაუჩნდეს სიწითლე,
 თვალზე ცრემლისა ფონები,
 და როცა გონზე მოყიუვან
 უთუოდ მოვეწონები.

სულ ერთია.



მესტვირული

ბუნება სევდით იმოსვის,
 ფოთლები სცივა ხესაო,
 მთა ბარი იძრობს სამოსელს,
 სითბო აკლდება მზესაო;
 ბეშტრი! წინ დგას ზამთარი
 უნდა ჩავქოლოთ ესაო,
 შენ მომებმარე ღილინზედ,
 მე სტვირს ვიშოვნი დღესაო.
 ამბებს გაცნობებ ყოველსა,
 ერთგული, შენი მონაო,
 ვისი ცხოვრება მე ძაგვის,
 ვისი რა მომეწინაო;
 ძმაო, მტერები ბევრი გვყავს,
 ძვირია მოყვრის შონაო,
 ვინც ღირსი არის ზოგზოგზედ
 ვიხმაროთ კინქრის კონაო.

ჯერ თხურებეთს ვეწვიოთ
 მოკლეთა მოცსჭრი გზასაო,
 მიკიტნებს მინდა უმღერო
 მივადგე ღართის კარსაო.
 სტვირსაც მოუქნევ ძალზედა
 მრვერათ გაუხთო თავსაო,

გასრულ თვეს სიკოს რო უქნეს
ის არ დამართოს სხვასასო.

დუქნიდგან ჩქარის ნაბიჯით
გავიდეთ მოედანზედა,
და დაუძახოთ მეეტლეს
(თავს ლაფი იმათ თავზედა).

ერლი რო შეზატრებს ვერ იტევს
სხდებიან სახურავზედა,
ცხნერებაც ვერ ძლებს საშულები
ჩერდება შეა გზაზედა.

აქიდგან სწრაფათ სუფსაში
ძალზედ გავპერო გუდაო,
ზოგსა ვეკილებს უმღეროთ,
ვისაც რო და სხლებს ხურდაო;
უთხრათ ფულსა სჯობს სახელი,
კაცსა კაციბა უნდაო
მოვეურულოთ ერთიც ფოთისკენ
იქც შეავს ყყლაყუდა.

სკელზედ ერთსა ხის მყიდველს,
ვეტყვი ლილინს და ზარსაო,
თუ რამე კი მიაბარეთ
ხელათა გტკიცებს ვარსაო!
მთევსა მისას თუ მისცემს,
მუშას არ ერტყვის ვარსაო,
თორებ ბეშტრიავ შენც განცნობ
იმის სახელს და ვარსაო.

ეხლა ვეთხოვთ ლილინსა
რადგნც მაქვს გასკირია,
გუდაც მრალატობს ოხერი
ხელს მრჩება მარტოთ სტვირია
უმისოთ ჩემი ცხოვრება
არცა ლირს ერთი ჩირია,
ახალი უნდა ვიშვენო
რაზომც დამიჯდეს ძვირია.

ობოლო.

გურული სცენა

გოგოელას თავ-გადასავალი.

თუ კაცი ხართ ყველაც მომილოცეთ გადარ-
ჩნა, რომ არ დევილუპე კაცალი კაცი და არ შე-
ვიცენი შინ წმოსასენგელი. მარა ლომის კარელ-
მა, ხატმა ძლიერმა შევიდა ჩემ გატივრებაში, უი
დეილოლუა მისი დიდება, იმას რქა მოქედილი ხარი
უნდა მივაჩოვა.

ბათომში ჩავედო, რაცხა საქმე შეინდა, ჩამოვ-
ხტი სიამი შეილის ულასტინცაში "ტანციასთან რომ
არის; დამე იმისთანი თხრიშინაი მევიდა რომე

შენი მოშონებული, უშვა და უშვა; ავდექი იძრე,
იყო კვირე, გოჭის თავი ვრცვირე, თურმე გოჭის
ხორც რას ტკუერ დაეუდი და იტირე, იმისანაი
რაცხა მოგივა; გამოესისინდი, გამოეტკიცინდი და
გავცწიო.

ჩავეგვი ქვეგვით რას ნახავ უნელს, არუნიებენ
ურძს და კაცებს აერწენ შით, გვიზელე რომე
დგანა ლილი წყალი და აი ურემი შით მიგორავს,
კაცი ღრამზე კინებმ შეკრინდი, იმისანაი შეეშინ-
დი კალამ დავლიე გადარეულის წამალი, ვიფიქრე
ზოგაზე ურემით იარებიან მეთქი, ნუ გამიშტყუნებთ
მე ნარები არ ვიყავი ბათომში და ამხელა წყალი
ზლვაი იყო მეგონა, აბა, რუა იფიქრებდა გოგიე-
ლა, ამხელა წყალი შეაგულ ბათუმში იქნებოდა,
ამხელა წყალი ტიყის გასატანათ ვერ ვიშონე წყა-
ვის ბოლოზე და აქანი თურმე ქალაქში დამდგა-
რა და რამდენი კაცი შით კალამ დამჩეალა; მეჩა-
რებოდა და უკავლე შეურმეს არიქა ძამავ მიშვე-
ლე გოგიელას მეთქი და ერთი „უპუ“-ც მიგაყო-
ლე, ვინცამ მომახანა, აქანი ღორილი და რუა
ყვირიო, მოგრეხო ცხვირიო, დაგილია პირიო; ან-
სინი და აბრადინი ჩემს საქმეს მეთქი, მევიდაბრე
მაგრათ და გლეჯა გავაყრიე წყალში, ერთი ღარე-
ბა დევარე ძირი, მარა უცენ გიტულის ფანდი,
მოვარი მიწაზე კანტი და ამოგშლიშნიდი ზეთ,
დავპრაწე თვალები, მოუსვი ხელები, ვეცნი ფხა-
რული, უქენი განური და გრველი გაღმა.

წივედი გალაშტული, გალახული, გათართხუ-
ლი, შივედი საცხა საქმე მეონდა, მარა გლაბა სა-
ნახავი კი ვიყავი, ყველაი ფეხზე წმოლუიდნ,
ზოგი ფუხარში შეძერა, ზოგი პოლში ჩაძერა, დავ-
რჩი მარტუა, გამიშტტრდა თვალები კატარ კურდ-
ლელსავით: ვიფიქრე აქანი რაცხა ფარცაკი არ
არის მეთქი; ვშპუნე თავი განის კარში, ვირბინე
და სულ გლოჯინ-გლოჯინით წამივედი ღასტინცაში,
მარა იმ წყალზე გამოსვლა შემცინა, უქენი განი
და წივედი სხვაი გზით, იმისანა შენ მტერს, და-
მებართა მე შტერს, გვიზედე რომე მეორე გზაზე
წყალი თლათ გადაპინძებული იყო, ევიშიე და
შით დეუზვა გავაყრიე და მედი მეონდა ცურვის,
აცხონა ღმერთის უტუიე მეგრელი ცურვა მასტავ-
ლა ფიჩრის პირზე; დევიარე ძირი, ვევინთე და
ვყინთე, ვეცნი ხან გომბ უკრი, ხან ფხარული, ხან
ძალური, ხან ხარული; ჩამივიდა პირში ტალაბი
და აია ვირჩობი ახლა შენი გოგიელა, ვინ ხარ
ქრისტიანი მეთქი ვიყვირე და ვიკივლე ცივი სმით;
წმინდა გიორგი, გუუშვარჯვე ვინცხა იყო იი, მო-
მაშერა ერთმა ნაფიანშა კაცმა, მოვედი ხელი ნაეს,
ნაევი გადაბრუნდა, ჰეი მაგას ბიქო კაცი დევილუ-

პეთო, დეიუვირა მენავემ. არიქა ბიჭა გოგიელავ
მეთქი და რუარც იყო ნავი გაღმოვაძრუნეთ და
გამოვედით გამოიღმა. ღმერთთ აცხონე უტუე შევ-
რელის სული და მის დანარჩენს მიეცი გახარგბა
და აშენება, ცურვა რომ არ მცოდნოდა ახლა შე-
ნი გოგიელათ იქნებოდა კმილებ დაკრეპირო.

ბუჯგუთი.

დაბა სოფლები

ქ. ფოთი. ამ თეთი თოთხმეტში გაიზიუნენ
გასათხოვარი ქალიშეილები და ახალგაზრა ყმაწვი-
ლები. გაფიცვა ეკონომიკურია, მოთხოვნილება ას-
თა. რაც უნდა შეეყარებული იყონ და პირობაც
მიკემული ქონდეს ურთეერთ შორის, მაინც ჯვარი
არ უნდა დაწერონ მომავალი იმ წლის შევიდ იან-
ვარისთვინ. ხელს აწერენ რჩეოლუკუს რამოდენიმე
ახალგაზრა კაცი და ქალი თანაგრძნობით მიე-
გებენ ჩვენი კურთხეული მამებიც. ეს გაფიცვა ფო-
თის მუშების გაფიცვას უფრო მტკიცება და საე-
პვოც არის გამარჯვებენ. პოლიციაც აშენა
ღმერთმა, როგორც წინა გაფიცვებში მათრახებით
უჭრელებდნენგვერდებს, ისთვი კი არ ექცევიან, ამათ
პირიქით ეფერებიან.

შეფელი მუშა.

გუდაუთა. ბეშტია შენმა ჭინჭარმა,

კი არგო დათიკონასა,

ეხლა ნოვას სტირდება

დათიკოს ძამიკონასა.

ამათ არ მოსწონთ მუშები

და არც იმათი პარტიი,

მხედველობაში მივიღოთ

მესამეც ზედ ამატია.

უკანასკნელის ხელობა

ნარდი, ღომინო, კარტია,

დრო თუ გიშოვა იცოდე

უნდა გამოგკრის კვანტია.

მაკრატელი.

თბილეთი. სამკითხელოში: სიტყვა „არში-
ყრბა“ მოისპონ, ნ—ა დაშივიდებულია.

— დააჯარისეს გაზეთი „სიკოტრე“ რედაქ-
ტორი პასუხისმგებაშია მიკემული 103 სტ. ძალით.

— სასტ. „კომეტაში“ გაიხსნა ახალი ტიპის
სკოლა, ასტურიან: „უჩქარ-კუკული“ ბაქარას, „ბან-
ჩიკს“ და „21“-ს. სწავლის ქირა 10 მანათიდან
100 მანეთამდინ.

თორნიკე.

ელექტრო-მშეკრავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.

წერილი რედაქციას.

მ. ხ. ს სოხუნჯო უურნალ „ქინქრის“ მე-9
ნომერში დასტამბულია გურულ-იმერლის სცენა,
სადაც სხვათა შირის ნახსენებია „აღმასხან“ ოზურ-
გეთის სხვა და სხვა „წარჩინებულ“ პირთა შორის.
ამისათვის მე ჩემს თავს ნებას მიესცემ მოვსთხოვო
ხევნებულ სცენის ავტორს პასუხი, თუ მე ვყავრ
სახეში დამიმტკიცოს ის ცილის წამება, თოთქო
ზეკუსოვისთვის მე რაიმე მიშეცეს. ან რაიმე საქმე
მქონდეს მასთან.

პასუხისათვის ვადას ვაძლევ ამ წერილის და-
ტამბის დღიდან ერთ კვირის.

აღმასხან კალანდაძე.

აღმასხან გამოვა დრო-გამოშევებით სხვა-და-სხვა სათაურით,
საჭიროა შეამიანი კორესპონდენცია, რომლებიც სისწორით
მოგამოიდებენ ყაველ-გვარ საღლესთ გასალებს.

წერილები და ყაველ-გვარი კორესპონდენციები გამოიგზავ-
ნება ზემდეგის აღრისით: თიფლის, თიპოგრაფია შრომა“
აღმასხანწათვის.

ინციდენტი ქართულ თეატრის გალლერეაში.



— წესიერების ნუ არღვევთ, რა ქიზიული
ვირივითა ღრიალებები?..

— გგ-გამიშვი, კა-კასა უ-უნდა დავვ-ლეწო!

იგიმოვნეთ პაპიროსები

ქ. მეტიანჯიანვის

„მძღოლა“ 15 ც.—6 კ., 25 ც. 10 კ. „ინტელი-
გენტინი“ 10 ც. 6 კ. 15 ც. 15 კ. „ლევი“ 20
ცალი 5 კ. „კეპ-უოკ“ 20 ც. 5 კ. და სხვ.

გამომცემელი რ. ჯოხაძე.